

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 10**

ქ. თბილისი

10.07.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე;
ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, საბჭოს მდივანი;
რამაზ ჭილაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
ლაშა ლაბაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტი:

მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
ნინო ფეტვიაშვილი - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ირაკლი ფორჩხიძე - სამართლის სკოლის დეკანი;
კონსტანტინე ჩოკორაია - სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო დობორჯგინიძე - რექტორის მოადგილე.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:

პაატა გოგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
დავით ბოსტოდანაშვილი - სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

4. შპს წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი:

ლია კარიჭაშვილი - ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ლელა თვარაძე - დაწესებულების იურისტი;

ეთერ თათარაძე - დაწესებულების წარმომადგენელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- ნინო ბალანჩივაძე;
- ნინო ჩიქოვანი;
- ზვიად როგავა;
- სერგო ჭელიძე;
- რამაზ ქურდაძე;
- ნანა ფრუიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო, რადგან სხდომაზე წარმოდგენილი იყო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს წმინდა გრიგოლ ფერადის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს წმინდა გრიგოლ ფერადის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს თანამშრომელმა ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ცენტრში წარმოადგინა წერილი, რომლითაც მოითხოვდა კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვის გადადება. გარდა ამისა, ექსპერტები, რომელთაც განახორციელეს შპს წმინდა გრიგოლ ფერადის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ინგლისური ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, საბჭოზე ვერ გამოცხადდნენ. შესაბამისად, სხდომაზე არ იქნებოდა მიზანშეწონილი აღნიშნული ორი საკითხის განხილვა. აღნიშნული მოსაზრებები გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ შუამდგომლობებს. საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა შუამდგომლობებს და დღის წესრიგი დამტკიცდა ახალი სახით:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს წმინდა გრიგოლ ფერადის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის შემადგენელი მოდულები: ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური); ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური); ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

- ქართული ენისა და ლიტერატურის (დაწყებითი საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- ქართული ენისა და ლიტერატურის (საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- მათემატიკის (დაწყებითი საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- მათემატიკის (საბაზო ან/და საშუალო საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- ისტორიის (საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- სამოქალაქო განათლების (საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- გეოგრაფიის (საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- ბიოლოგიის (საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- ფიზიკის (საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- ქიმიის (საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- ბუნებისმეტყველების (დაწყებითი საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- ინგლისური ენის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლობის უფლება;
- რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლობის უფლება.

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 60

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ ისინი იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტებს, გაეცნოთ სხდომის მონაწილეებისათვის მათ მიერ შედგენილი დასკვნა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ნინო ბალანჩივამ და ნინო ჩიქოვანმა, საბჭოს გააცნეს დასკვნა.

ნინო ბალანჩივამ ისაუბრა დაწესებულებაში აკრედიტაციის ვიზიტის მიმდინარეობაზე და აღნიშნა, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და მას მონაწილეობა აქვს მიღებული ამ პროგრამების შეფასებაში. მისი პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ პროგრამამ დაიმსახურა მაღალი შეფასება. ექსპერტების მხრიდან რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. მან ისაუბრა პროგრამის ძლიერ მხარეებზე. აღნიშნა, რომ პროგრამას ახორციელებდა გამოცდილი პერსონალი, რომლებიც ძირითადად იყვნენ მასწავლებლის სახლში დასაქმებული ტრენერები. მათ ჰქონდათ სტანდარტზე მუშაობის დიდი გამოცდილება. პროგრამაში ასევე ჩართულები იყვნენ პრაქტიკოსი პედაგოგები. აკადემიური რესურსით პროგრამა სათანადო მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, პროგრამაში ჩართვის მსურველს თავისი კომპეტენცია უნდა დაესაბუთებინა შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებულ საგნის გამოცდის საფუძველზე. ამ პროგრამას ვინც გაივლიდა, მას მიენიჭებოდა შესაბამისი საგნისა და საფეხურის უფროსი მასწავლებლობის უფლება. პროგრამა დახუნძლული იყო მრავალფეროვანი შეფასების მეთოდებით და საგანმანათლებლო რესურსებით, შესაბამისად მისი განხორციელება და სწავლის შედეგების მიღწევა იყო რეალისტური.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც პროგრამა დაიწყებდა ფუნქციონირებას შესაძლოა გამოკვეთილიყო სუსტი მხარეები, თუმცა ამ ეტაპზე მას არ ჰქონდა ნაკლოვანებები. პროგრამის ერთადერთ სუსტ მხარედ შეიძლება ჩათვალილიყო მასწავლებლების (ჩარიცხვის მსურველ პირთა) მზაობის/დაინტერესების. თუმცა, ვიდრე არ მოხდებოდა პირთა ჩარიცხვა პროგრამაზე და საგანმანათლებლო პროცესის ციკლი არ დასრულდებოდა, რთული იყო პროგრამის სუსტი მხარეების განჭვრეტა.

ექსპერტმა დამატებით ისაუბრა პროგრამის რესურსებზე და აღნიშნა, რომ სკოლებთან გამჭორმებული მემორანდუმებიდან პრაქტიკული კომპონენტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში განხორციელების საშუალებას. მათი აზრით, პროგრამის პრაქტიკული ნაწილი წარმატებით განხორციელდებოდა, რადგან პროგრამას ახორციელებდა პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ გარემოში. ასევე დასძინა, რომ დიდი რესურსი ჩადეს აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში, რათა შემდგომში პროგრამა შეუფერხებლად განხორციელდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: სისხლის სამართალი

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სისხლის სამართლის მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს აკრედიტაციის ექსპერტებმა ზვიად როგავამ და სერგო ჭელიძემ.

- სასწავლო კურსის „საერთაშორისო სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება“ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული იყო მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. ვინაიდან კურსი ქართულ ენაზე იკითხებოდა, სასურველი იქნებოდა სავალდებულო ლიტერატურას დამატებოდა ქართულენოვანი სახელმძღვანელოც - მ. ტურავა, საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლები, თბ., 2015;

- სასურველი იყო სასწავლო კურსის - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ - ძირითად ლიტერატურას დამატებოდა - მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016;

- სასურველი იყო პროგრამა გაძლიერებულიყო მატერიალური სისხლის სამართლის ისეთი სასწავლო კურსების ხარჯზე, როგორიც იყო მაგალითად: დანაშაულის მოძღვრება, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, შედარებითი სისხლის სამართალი. ამასთან, სასურველი იქნებოდა პროგრამას დამატებოდა სასწავლო კურსი კრიმინოლოგიის მიმართულებითაც (მაგალითად, დანაშაულობის პრევენციის თანამედროვე მოდელები);

- სასურველი იქნებოდა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელებულიყო დაწესებულების ფარგლებს გარეთაც, მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა მნიშვნელოვანი რაოდენობის მემურანდუმები იურიდიული პროფილის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა ვიზიტის მიმდინარეობაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა კერძო (ბიზნეს) და საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა სამართლის სხვა დარგის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებსაც. აღნიშნული პროგრამის შექმნა განპირობებული იყო სწორედ ამ გარემოებით. მათი სურვილი გახლდათ საგანმანათლებლო რესურსებზე დაყრდნობით სამართლის მიმართულებით სრული სპექტრი შეკრულიყო. ექსპერტების რეკომენდაციები დაწესებულების მხრიდან მიჩნეულ იქნა მნიშვნელოვნად და გაზიარებულ იქნა მათ მიერ.

კეროდ, პირველი რეკომენდაცია იყო მისასალმებელი, რადგან პროგრამის ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით გამდიდრება მათთვისაც მნიშვნელოვანი იყო. მეორე რეკომენდაცია სავალდებულო სასწავლო კურსების გამრავალფეროვნების შესახებ, დაწესებულებამ მიიჩნია სასარგებლოდ და ასევე იქნა გაზიარებული. ამისათვის ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები და შემუშავდა სასწავლო კომპონენტების სილაბუსები, რომლებიც წარმოდგენილ იქნა აკრედიტაციის საბჭოსათვის გასაცნობად. დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სამართლის სკოლაში არსებობდა სამართლის კლინიკა, რომელშიც სხვადასხვა მემორანდუმების ფარგლებში ხორციელდებოდა პრაქტიკული კომპონენტები და ამავე მემორანდუმების ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილის შესრულებაც. ასეთივე რეკომენდაცია იყო გაცემული საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის დროსაც და ამჟამად განხორციელებული პროგრამა ითვალისწინებდა ამ აქტივობას. პრაქტიკის კომპონენტის გავლა იყო სასურველი სწავლების მესამე სემესტრში. მათ მიერ შემუშავებული სილაბუსი მოიცავდა პროკურატურაში სტაჟირებას და სისხლის სამართლის მიმართულებას.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან სამართლის დარგი არის რეგულირებადი პროფესია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იყო სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა, შიდა გამოცდა სპეციალიზაციაში და ინგლისურ ენაში (უნდა დადასტურებულიყო B2 ცოდნის დონე). შესაძლებელი იყო შესაბამისი დონის სერთიფიკატის წარმოდგენაც, ამ შემთხვევაში პირი თავისუფლდებოდა ინგლისური ენის გამოცდისგან. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მათი მხრიდან ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: სამართალი

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საბჭოს მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულებაში ვიზიტის მიმდინარეობაზე ისაუბრა აკრედიტაციის ექსპერტმა სერგო ჭელიძემ და მანვე წარადგინა საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- შეფასების კრიტერიუმების გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სასურველი იყო ცალკეულ სასწავლო კურსებში (მაგ. აკადემიური წერა-კვლევის მეთოდები; ინგლისური ენა) დაკონკრეტებულიყო პრეზენტაციის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების კრიტერიუმები;

- ცალკეული მოდულების გაძლიერების და არჩევითობის გაზრდის მიზნით, სასურველი იქნებოდა პროგრამას დამატებოდა ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა მაგალითად: ვადები სამოქალაქო პროცესში, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები, მოძღვრება დანაშაულზე, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში;

- პროგრამის პრაქტიკული კონპონენტის უკეთ განხორციელების მიზნით სასურველად იქნა მიჩნეული გაზრდილიყო პარტნიორი დაწესებულებების რაოდენობა;

- მიზანშეწონილი გახლდათ განახლებულიყო არსებული ლიტერატურა ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა: აღსრულების სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი, საერთაშორისო მართლმსაჯულება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა დავით ბოსტოდანაშვილმა აღნიშნა, რომ ის რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა მიწოდებული, იყო მნიშვნელოვანი და გასაზიარებელი. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ჯერ არ იყო ამოქმედებულა და გარე შეფასების გაზიარება უფრო მარტივი იყო და წაადგებოდა

პროგრამის განვითარებას. რეკომენდაციები კრიტერიუმების დაკონკრეტებისა და საგნების თანმიმდევრობის შესახებ უკვე გათვალისწინებული გახლდათ. არჩევითი საგნების გამრავალფეროვნების და ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია კიგანხორციელდებოდა თანდათან, საგანმანათლებლო პროცესის მსვლელობისას.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა პროგრამაზე მიღების წინაპირობებით. დავით ბოსტოლანაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენდა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა. ასევე გამოცდა სპეციალობაში და უცხო ენის ფლობა B1 დონეზე (რაც შეიძლება დადასტურებულიყო შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენით ან ინგლისური ენის ტექსტირებით).

საბჭოს წევრი ლაშა ლაბაძე დაინტერესდა პროგრამის შექმნის/განხორციელების მიზნისათვის დაწესებულების მხრიდან დამსაქმებელთან ურთიერთობით. ექსპერტმა სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, სადაც გაწერილი იყო პარტნიორი დაწესებულებების შეთანხმება სამართლის მიმართულების სხვა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნისათვის. ექსპერტმა მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ხარისხობრივად განხორციელებისათვის, გაზრდილიყო პარტნიორი დაწესებულებების რაოდენობა; დაწესებულების მხრიდან გამოითქვა მზაობა გაეზიარებინათ აღნიშნული რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა პაატა გოგიშვილმა და დავით ბოსტოლანაშვილმა ისაუბრეს მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე. აღინიშნა, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამა წარმომადგენდა დაწესებულების ამბიციურ განაცხადს და ამიტომ მუშაობდნენ სასამართლოებთან შეთანხმების მიღწევაზე. სტუდენტები გაივლიდნენ საფუძვლიან პრაქტიკას (მით უფრო რომ პროგრამაში იყო პროცესუალური სასწავლო კურსები). დაწესებულება ახორციელებდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას და ამიტომ გადაწყვიტეს, რომ მათივე რესურსით განხორციელებულიყო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაც. ფიქრობდნენ, რომ აღნიშნული პროგრამის შექმნით სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემდნენ სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს.

ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მას არ დარჩა ცუდი შთაბეჭდილება და რეკომენდაციების შინაარსიდან გამომდინარე ხარვეზები არ გამოიკვეთა. მან მიმართა ექსპერტს თხოვნით, მკაფიოდ განეცხადებინა მთლიანობაში პროგრამის შეფასება დადებითად მიიჩნიეს თუ არა.

სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ პროგრამას, დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეხვდნენ პერსონალს, დამსაქმებელს და სტუდენტებს. პროგრამის ყოველმხრივ შესწავლის და ინტერვიუების შემდგომ გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას ჰქონდა პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსი და არსებობდა ყველანაირი პირობა იმისათვის, რომ პროგრამა შეუფერხებლად განხორციელებულიყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. შპს წმინდა გრიგოლ ფერადის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: ქართული ლიტერატურა

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის მაგისტრი სპეციალიზაციით ქართული ლიტერატურის ისტორია

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს აკრედიტაციის ექსპერტებმა რამაზ ქურდაძემ და ნანა ფრუიძემ.

– განსახორციელებელი პროგრამის ფინანსურ გეგმაში ერთგვარად არარეალისტურად გამოიყურებოდა ჩასარიცხი კონტინგენტის რაოდენობა - 30 სტუდენტი. სასურველი იყო ანალოგიური პროგრამების მონაცემების გათვალისწინებით რეალობასთან მიახლოებული რაოდენობის ჩაწერა;

– პროგრამის კურიკულუმში, სადაც საუბარი იყო კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებზე, გაწერილი იყო: „ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლო პროფესიული საქმიანობა განეხორციელებინა... ბიბლიოთეკებსა და არქივებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, სტილისტ-რედაქტორის თანამდებობაზე გამომცემლობებსა და მასმედიის საშუალებებში“. სამწუხაროდ, პროგრამა არ იძლეოდა სათანადო კომპეტენციას ხსენებულ საქმიანობათა განსახორციელებლად. საჭიროებას წარმოადგენდა, ამ შემთხვევაშიც მითითებული ყოფილიყო, რომ აღნიშნულ უწყებებში სამუშაოდ კურსდამთავრებულისათვის აუცილებელი იყო დამატებითი კვალიფიკაციის მიღება (ისევე როგორც ეს მითითებული იყო საჯარო და კერძო სკოლებთან მიმართებით);

– აღსანიშნავია, რომ სტილისტ-რედაქტორად მუშაობისათვის აუცილებელი გახლდათ ბევრად უფრო სერიოზული კვალიფიკაციის მიღება, ვიდრე ერთი არჩევითი სტატუსის მქონე საგნის მოსმენა;

– პროგრამაში, სემესტრების მიხედვით განაწილებულ სასწავლო კურსების ნუსხაში ნაწილობრივ დარღვეული იყო ძირითადი საგნების განლაგების მთავარი პრინციპი: მაგალითად,

მესამე სემესტრში ერთდროულად იკითხებოდა 3 საგანი (ცხადია წინაპირობის გარეშე): XIX და XX საუკუნეების ქართული ლიტერატურები და თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი. მაშინ როდესაც, პირველ სემესტრში იკითხებოდა ძველი ქართული სასულიერო მწერლობა, რომელიც წინაპირობაა მეორე სემესტრში შეთავაზებული საგნისა - XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურის. ზემოთ დასახელებული სამი საგნის შემთხვევაში, აღნიშნული ურთიერთიმართება იგნორირებული იყო. ამ ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით, ექსპერტების მიერ შეთავაზებული იყო საგანთა განაწილების შემდეგი მოდელი: პირველი სემესტრი: ძველი ქართული მწერლობა - 10 კრედიტი, ლიტერატურა - 5 კრედიტი, ინგლისური ენა - 5 კრედიტი, ორი არჩევითი საგანი - 10 კრედიტი; მეორე სემესტრი: სახისმეტყველება - 5 კრედიტი, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა - 5 კრედიტი, ფოლკლორი და ლიტერატურა - 5 კრედიტი, ინგლისური ენა - 5 კრედიტი, ორი არჩევითი საგანი - 10 კრედიტი; მესამე სემესტრი: ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი - 5 კრედიტი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა - 5 კრედიტი, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები - 5 კრედიტი, ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი, ორი არჩევითი საგანი - 10 კრედიტი;

- სილაბუსთა ნაწილში, ძირითადად შედეგებში, სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნები გათვალისწინებული იყო ტერმინოლოგიის დონეზე. მაგალითად, ჩასმული იყო ტერმინები „... აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს“ და სხვ. ეს იყო ერთგვარი ვალის მოხდა სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებისადმი, მაგრამ შემდეგი მსჯელობა არ ამართლებდა ამ ტერმინებით გათვალისწინებულ შინაარსს და სილაბუსიც ერთგვარად საბაკალავრო დონისად გამოიყურებოდა. აუცილებელი იყო სამაგისტრო დონის მაჩვენებელი მოთხოვნები ასახული ყოფილიყო სილაბუსის მიზნებში, შინაარსსა და გამოყენებულ ლიტერატურაშიც;

- სასურველი იყო სილაბუსებში შეფასების სისტემა ყოფილიყო უფრო მოქნილი, ანუ კომპონენტთა ქულების შორის არსებულიყო ლოგიკური თანაფარდობა - შედარებისათვის, რეფერატი ფასდებოდა - 5 ქულით, ხოლო ფინალური საგამოცდო ერთი საკითხი - 10 ქულით. ექსპერტთა აზრით, დასაზუსტებელი იყო რეფერატების მომზადებისა და წარდგენის პრინციპიც. კერძოდ, საგანთა უმეტესობა ითვალისწინებდა სემესტრის მანძილზე ორი რეფერატის დაწერას (მე-5 და მე-11 კვირაში), ხოლო საგანთა ნაწილი კი - მხოლოდ პრეზენტაციის წარდგენას. უმჯობესი იქნებოდა, კომპეტენციის დონის განმსაზღვრელ საგნებში მაინც სტუდენტისათვის ყოფილიყო დავალება ერთი რეფერატის დაწერა და ამავე რეფერატის პრეზენტაციის სახით წარდგენა (5+5 ქულა). ეს სტუდენტს განუვითარებდა არამარტო კვლევის უნარს, არამედ საკუთარი ნააზრევის აუდიტორიის წინაშე წარდგენის ჩვევასაც. რეფერატის არსებობის პირობებში საჭიროებას წარმოადგენდა პროგრამას დართვოდა მკაფიოდ გაწერილი მოთხოვნები (რეფერატის მოცულობა, შრიფტი, ინტერვალი, სლაიდების რაოდენობა და ა.შ.);

- სასურველი იყო ასევე რეალური ყოფილიყო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ხელმძღვანელთან საკონტაქტო საათების გაწერა, რადგან პროგრამაში არსებული კვირაში 6 საათი, ანუ მთლიანად 90 საათი არარეალური გახლდათ. ექსპერტთა აზრით, ამისათვის მაქსიმუმ 30 საათი ანუ კვირაში 2 საათი საკმარისი იქნებოდა.

რამაზ ქურდამემ დამატებით აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების პერსონალი იყო კეთილგანწყობილი მიუხედავად მოცულობითი შენიშვნებისა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება.

ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ლია კარიჭაშვილმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში ისაუბრებდა მეორე რეკომენდაციის შესახებ. ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამა არ იძლეოდა სათანადო კომპეტენციას თავად პროგრამაში გაწერილი დასაქმების სფეროებში საქმიანობის განსახორციელებლად და საჭირო იყო დამატებითი კვალიფიკაციის ჩართვა პროგრამაში. დაწესებულების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამაზე ძირითადად ელოდებოდნენ ფილოლოგიის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, დაშვების წინაპირობის მიხედვით არ ჰქონდათ შეზღუდვა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისადმი (დაიშვებოდა ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირი). ისინი სთავაზობდნენ ერთ ენობრივ საგანს - ქართული ენის სტილისტიკას, რომელიც ისწავლებოდა არჩევითი კომპონენტის სახით და ექსპერტების საფუძლიანი რჩევისამებრ, გადაიტანეს სავალდებულო საგანთა ჯგუფში. ვინაიდან, პროგრამა ანიჭებდა ლიტერატურის კვალიფიკაციას, დანარჩენი სასწავლო კომპონენტები, წარმოდგენილი იყო ლიტერატურულ საგანთა ჯგუფში. მათ ჰქონდათ საუბრები პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დეტალების შეთანხმებისათვის, შეხვედრების დროს ამ საკითხზე იყო საუბარი როსტომ ჩხეიძესთან და კლასიკური გიმნაზიის სხვა წარმომადგენლებთან. დეტალურად გაიარეს დამატებითი კვალიფიკაციის საკითხი. ისინი იცნობდნენ პროგრამის შინაარსს და დაშვების წინაპირობებს. დამსაქმებლის აზრით, საჭიროების შემთხვევაში სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავსებით საკმარისი გახლდათ სტაჟირება. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, მიზანშეწინილად მიიჩნიეს და პროგრამის შესავალ ნაწილში ჩაამატეს ეს იდეა შემდეგი ფორმულირებით: „საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაციის ან სტაჟირების მიღების შემდეგ“ ... რაც გულისხმობდა, რომ კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივა ინდივიდუალურად იქნებოდა განხილული რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა საგანთა განაწილების შესახებ რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვით პროგრამის სასწავლო გეგმაში დარღვეული იყო საგანთა განაწილების პრინციპი და შეთავაზებული იყო სასურველი განაწილება. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, მესამე სემესტრში ერთდროულად იკითხებოდა სამი საგანი, კერძოდ: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა და თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი. ეს გარემოება გამოწვეული გახლდათ იმ ფაქტით, რომ 120 კრედიტიან პროგრამაში (სადაც 30 კრედიტი, ანუ ერთი სემესტრი დათმობილი ჰქონდა სამაგისტრო ნაშრომს), ფაქტობრივად სამ სემესტრზე უნდა გადანაწილებულიყო ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები დასაწყისიდან მიმდინარე ეტაპამდე. შეუძლებელი იყო საგანთა გადანაწილება თანმიმდევრულად, იმგვარად, რომ ერთ სემესტრში არ განლაგებულიყო ის სხვადასხვა ეტაპები, რომლებიც ქრონოლოგიურად წარმოადგენდა ერთიმეორის გაგებლებას (შესაბამისად წინაპირობებიც უნდა ყოფილიყო წინა ეტაპი მომდევნოსი). ექსპერტების მიერ შემოთავაზებულ სქემაში, მესამე სემესტრში მოცემული იყო ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი, XX საუკუნის ლიტერატურა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესები. რაც შეეხება ძველი ქართული სასულიერო მწერლობისა და XVI-XVIII საუკუნის ქართული მწერლობის ერთ სასწავლო კურსად გაერთიანებას, ეს ცვლილება მიზანშეწონილი გახლდათ ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის და არა სამაგისტრო პროგრამისათვის. ისეთი განსხვავებული ეტაპები ქართული ლიტერატურისა, როგორიც იყო სასულიერო მწერლობა და XVI-XVIII საუკუნეების საერო მწერლობა, მიზანშეწონილი იყო მაგისტრანტებისათვის მიეწოდებინათ დამოუკიდებელი სასწავლო კურსები სახით, და არა ერთიანად. ასევე ჰქონდათ მოსაზრება ვეფხისტყაოსნის საგნის გადატანასთან XVI-XX საუკუნის პარალელურად/შემდგომი ეტაპისათვის. ეს რომ პირობითად ყოფილიყო ასეთი საგანი - „რუსთაველი და მსოფლიო

ლიტერატურა“, იქნებოდა მისაღები. ვინაიდან, კურსი შეისწავლის ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივ ანალიზს, რომელიც საჭიროებდა სემესტრის განმავლობაში სიღრმისეულ შესწავლას, არ იყო მიზანშეწონილი კურსის სწავლება დაეკავშირებინათ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტთან და ლიტერატურული პერიოდის გათვალისწინების გარეშე გადატანილი ყოფილიყო მიმდინარე პროცესის პარალელურად. რთული იყო XVI-XVIII საუკუნეების ლიტერატურა სათანადო დონეზე მიეწოდებინათ სტუდენტისათვის, თუ მას არ ჰქონდა შესწავლილი ვეფხისტყაოსანი, რომელიც გახლდათ ცენტრალური ნაწარმოები ლიტერატურაში. XIX საუკუნის ლიტერატურა უკავშირდებოდა ვეფხისტყაოსნის ცოდნას, ამიტომაც, ფრთხილად მოეკიდნენ ამ შემოთავაზებას და პროგრამის სტრუქტურაში ქართული სასულიერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი დატოვეს იმავე სემესტრში. განახორციელეს კიდევ ერთი ცვლილება ლიტერატურული ეტაპების სწავლებასთან დაკავშირებით. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა გადატანილ იქნა მეორე სემესტრში. პარალელურად ისწავლებოდა XIX და XX საუკუნეების ქართული ლიტერატურები. ცვლილებები აისახა ასევე სილაბუსებშიც.

ექსპერტების შემდეგი რეკომენდაციის მიხედვით, სილაბუსთა ნაწილში სამაგისტრო პროგრამისათვის კვალიფიკაციის აღმწერის დონის მოთხოვნები გათვალისწინებული იყო მხოლოდ ტერმინოლოგიის დონეზე, ხოლო მსჯელობა არ ამართლებდა ამ ტერმინებით გათვალისწინებულ შინაარსს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში ჩართულები იყვნენ დარგის წამყვანი მეცნიერები, რომელთაც ჰქონდათ კვლევითი და საგანმანათლებლო მუშაობის გამოცდილება და სასურველი იქნებოდა, რომ ამ რეკომენდაციას ჰქონოდა უფრო მკაფიო დასაბუთება. ეს შენიშვნა ეხებოდა მხოლოდ ერთ სილაბუსს. დაწესებულების მოლოდინს წარმოადგენდა კარგად მოტივირებული სტუდენტი, ხოლო მათი დასაყრდნობი იყო კვალიფიური პერსონალი და მატერიალური რესურსი, რომელითაც უზრუნველყოფილი გახლდათ ეს პროგრამა.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა შეფასების სისტემას. ექსპერტთა აზრით, დასაზუსტებელი იყო რეფერატების მომზადებისა და წარდგენის პრინციპი. დაწესებულებამ მისაღებად მიიჩნია რეკომენდაცია და ორი ხუთქულიანი შეფასების ნაცვლად მიიღეს 10 ქულიანი რეფერატი. რეფერატის შეფასება იყო მხოლოდ ცხრა სასწავლო კურსში და არა უმრავლესობაში. შესაბამისად, შესაძლებელი იყო ამ საკითხის გაზიარება. ბოლო რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ხელმძღვანელთან საკონტაქტო საათების გაწერას, მათთვის ასევე მისაღები იყო გათვალისწინებულ იქნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განაცხადა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გაერთიანდა ერთი მიზნის გარშემო, რომ შეემუშავებინათ ქართული ლიტერატურის მაღალი ხარისხის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტმა რამაზ ქურდაძემ აღნიშნა, რომ მათ მიერ შემუშავებულ საგანთა განაწილების გეგმას ჰქონდა სარეკომენდაციო ხასიათი, დაწესებულებამ წარმოადგინა ცვლილებების შემდგომი განაწილების გეგმა. რეკომენდაციის გაცემისას ისინი ფიქრობდნენ, რომ დაეცვათ საგანთა განლაგებაში შინაარსობრივი და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპი. ამას დაწესებულება როგორ გაანაწილებდა და გადაწყვეტდა, მათზე იყო დამოკიდებული. ზოგადად ფილოლოგები ათვითცნობიერებდნენ ვეფხისტყაოსნის რაობას, ამ შემთხვევაში საუბარი იყო ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივ ანალიზზე და არა თვითონ ვეფხისტყაოსანზე. მათივე რეკომენდაციით შეთავაზებული იყო ძველი ქართული მწერლობის 10 კრედიტით განსაზღვრა, რომელიც რასაკვირველია გაითვალისწინებდა სასულიერო მწერლობის და საერო მწერლობის საკითხებს, მაგრამ დაწესებულება ამას როგორ წარმოიჩენდა და რა დონეზე გაიზიარებდა, იყო მათი გადასაწყვეტი. ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი იყო სხვა შინაარსის საგანი, ეს არ იყო

საგანი, რომელიც შეისწავლიდა ვეფხისტყაოსანს. ასევე სასურველი იყო სილაბუსში შეფასების სისტემა ყოფილიყო უფრო მოქნილი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არამიზანშეწონილი რეკომენდაცია არ ყოფილა გაცემული ექსპერტების მხრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა თავის აკადემიურ გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ ძალიან დიდი ყურადღებით მოეკიდნენ ექსპერტების რეკომენდაციებს და გაითვალისწინეს ისინი.

საბჭოს წევრმა რამაზ ჭილაიამ განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა სასწავლო კურსს ანთროპოლოგიური კონცეპტები ქართულ ლიტერატურაში, იგი დაინტერესდა ამ სასწავლო კურსის შინაარსით. დაწესებულების წარმომადგენელმა ლია კარიჭაშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო ადამიანთმცოდნეობა, ადამიანის იდეალი, მისი მსოფლმხედველობისა და მისი მიმართებისა დღევანდელ დღეში.

რამაზ ჭილაიამ შენიშნა, რომ ეს არ გახლდათ ადამიანთმცოდნეობა. იგი ასევე დაინტერესდა სასწავლო კომპონენტით - გალაკტიონი და უცხოური ლიტერატურა. სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, თუ რას ასწავლიდნენ ამ საგანში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საგანი შეეხებოდა გალაკტიონის შემოქმედებით კავშირებს უცხოურ ლიტერატურასთან, ევროპელ სიმბოლისტებთან. რამაზ ჭილაია ვერ დაეთანხმა აღნიშნულ განმარტებას.

ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა თუ რა ლიტერატურას ეფუძნოდა აღნიშნული კურსი - ერთი ადამიანის ნააზრევზე იყო საგანი აგებული, ერთ სტატიას, თუ სხვა. ლია კარიჭაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საგანი არ ეფუძნებოდა მხოლოდ ერთ სტატიას და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ გალაკტიონის შემოქმედებითი კავშირები ისწავლებოდა საზღვარგარეთის ლიტერატურასთან მიმართებაში.

საბჭოს წევრი რამაზ ჭილაია ასევე დაინტერესდა სასწავლო კურსით ლიტერატურის პოეტიკა და განმარტა, რომ ბევრნაირი პოეტიკა არსებობს, თუმცა არ არსებობს ლიტერატურის პოეტიკა. ლია კარიჭაშვილმა საპასუხოდ განაცხადა, რომ ლიტერატურის პოეტიკა წარმომადგენდა ისეთ საკითხს, რომელიც სტუდენტმა უნდა შეისწავლოს.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა სტუდენტთა სტაჟირების კომპონენტით და ასევე აღნიშნა, რომ ჰქონდა კითხვები პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. კონკრეტულად, შესაძლებელი იყო თუ არა სხვა კვალიფიკაციის პირის პროგრამაში ჩართვა, შეძლებდა თუ არა სხვა მიმართულების აკადემიური ხარისხის მქონე პირი პროგრამის დაძლევა. გარდა ამისა, მას აინტერესებდა პროგრამაზე მისაღები სტუდენტთა რაოდენობის საკითხი. როგორც გაირკვა, დაწესებულება განაცხადის გაკეთებას ფიქრობდა 30 სტუდენტისათვის. მისი აზრით, ამ რაოდენობის სტუდენტთა დაინტერესება სამაგისტრო დონეზე ლიტერატურის მიმართულებით არ იყო რეალისტური. დაწესებულების წარმომადგენელმა ლელა თვარაძემ აღნიშნა, რომ კანონმდებლობაში პირდაპირ გახლდათ მითითებული, რომ მაგისტრატურაში სწავლების მიზანია სპეციალობის შეცვლა, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა. რადგან კანონმდებლობა არ არეგულირებდა და არ კრძალავდა ფილოლოგიის მიმართულებაზე დაშვების საკითხს, ამიტომ კვალიფიკაციის შეზღუდვა არ ქონდათ, თუმცა ისინი ელოდებოდნენ ფილოლოგებს.

ნანა შათაშვილმა აღნიშნა, რომ ეს მისი აზრით, იყო კანონმდებლობის ხარვეზი, თუმცა თვითონ დაწესებულებამ გონივრულად უნდა განსაზღვროს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით შეძლებდა თუ არა სტუდენტი პროგრამაზე სწავლას და ხარისხიანი განათლების მიღებას.

ლელა თვარაძემ აღნიშნა, რომ ცოდნის შემოწმების საკითხებს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტი არეგულირებდა. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება, რითაც დგინდებოდა სტუდენტის ცოდნა სამაგისტრო პროგრამაზე დასაშვებად.

ნანა შათაშვილმა დამატებით განმარტა, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად მიზანშეწონილი იყო იმავე სფეროში/დარგში მიღებული კვალიფიკაციის მოთხოვნა ყოფილიყო ჩადებული პროგრამის მიღების წინაპირობებში. მისთვის გაუგებარი გახლდათ ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებულიყო პირი, რომელსაც არ ჰქონდა აკადემიური განათლება ფილოლოგიაში. ამ შემთხვევაში მისი, მოსაზრებით, მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა და გასაუბრება ვერ უზრუნველყოფდა იმას, რომ პროგრამაზე ჩარიცხული იმ ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც დაძლედა წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას.

საბჭოს წევრმა ნინო ჩინჩალაძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო სტუდენტს ჩაებარებინა საერთო სამაგისტრო გამოცდა, რომელიც ზოგადად ადგენდა პირის ცოდნისა და უნარების მზაობას განათლების მეორე საფეხურზე დაშვებისათვის, ასევე გადაეღაზა შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო მოთხოვნები, რომელიც არის ძირითადი საკითხების ნაკრები, მაგრამ, როდესაც პირობითად ეკონომიკის კვალიფიკაციის მქონე პირი ხდებოდა - მაგისტრი ლიტერატურაში, იგი არ იქნებოდა ხარისხიანი ცოდნის მფლობელი და დასაქმების, ანუ შემდგომი საქმიანობის თვალსაზრისით ექნებოდა პრობლემები, შესაბამისად, ვერ იქნებოდა კონკურენტუნარიანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონდებლობას და თუ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი დაძლედა საერთო სამაგისტრო გამოცდას და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრებას, მას შეეძლო სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. სხვა დარგის აკადემიური განათლების მქონე პირს შესაძლებელია შექმნოდა დასაქმების პრობლემა, სწორედ ამიტომ პროგრამაში იქნა ჩამატებული დამატებითი კვალიფიკაცია ამ ტიპის სტუდენტებისათვის. დადებული მემორანდუმების ფარგლებში, სკოლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სავარაოდოდ ამ პროგრამაზე ძირითადად დაინტერესდებოდნენ ფილოლოგიის ბაკალავრის მქონე აკადემიური ხარისხის მფლობელი პირები. დამსაქმებელი დაინტერესდა პროგრამაზე მიღების წინაპირობებით, სასწავლო გეგმით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით. ისინი მზად იყვნენ სტაჟირების განხორციელებისათვის მიეღოთ კურსდამთავრებული.

ნინო ჩინჩალაძე ასევე დაინტერესდა თუ რითი იყო მნიშვნელოვანი მათი საგანმანათლებლო პროგრამა. ლია კარიჭაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი პერსონალი წარმოადგენდა პროგრამის ძლიერ მხარეს. განმახორციელებლები გახლდნენ ლიტერატურის ინსტიტუტის თანაშრომლები. ამ ტიპის პროგრამის საჭიროება იყო რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე. მათი სურვილი იყო, რომ პროგრამაზე მიღება გამოეცხადებინათ 30 მისაღები ადგილისათვის, მაგრამ რეალურად თუ ნაკლები მსურველი იყო, მათი მხრიდან იქნებოდა მზაობა მცირე კონტიგენტისათვის განხორციელებულიყო საგანმანათლებლო პროცესი. ამისათვის დაწესებულება იღებდა ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულებას.

ნინო ჩინჩალაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, ჩვენმა საგანმანათლებლო სივრცემ უკვე გაიარა ის პერიოდი, რომ იმისათვის, რომ პროფესორს ჰქონოდა მცირე დამატებითი შემოსავალი, იხსნებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და ხორციელდებოდა საგანმანათლებლო პროგრამები. იგი გამოხატავდა პროგრამაში ჩართული პირების მიმართ პატივისცემას, მაგრამ ფიქრობდა, რომ ეს პროგრამა ვერ შეიქმნებოდა მხოლოდ კონკრეტული პერსონალის დასასაქმებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთი შინაარსის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები არსებობდა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაშიც. ისინი გამოხატავდნენ მზაობას, რომ გაიზიარებინათ ექსპერტების და საბჭოს ყველა შენიშვნა პროგრამის დახვეწისა და განვითარებისათვის.

საბჭოს სხდომაზე 18:10 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 18:20 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა გრიგოლ ფერადის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს შემდეგმა წევრებმა: ანანო გიორგაძემ, ლევან გორდეზიანმა, ნანა შათაშვილმა, ნინო ჩინჩალაძემ, ლაშა ლაბაძემ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს წმინდა გრიგოლ ფერადის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ გამოთქვა იმედი, რომ შემდგომში დაწესებულება წარმოადგენდა პროგრამას გაუმჯობესებული სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააპროტესტა საბჭოს გადაწყვეტილება და დაინტერესდა საბჭოს გადაწყვეტილების მიზეზებით. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაციები მათთვის მისაღების იყო და გაითვალისწინებდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა გარემოებები იყო ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი. ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ საბჭომ ექსპერტების მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები მნიშვნელოვან ხარვეზებად მიიჩნია. ისინი იცნობდნენ პროგრამას და პროგრამის კონცეფციასთან, სტრუქტურასთან და პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით, საბჭოს აზრი დადებითი არ იყო.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა სხდომა 18:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ლევან გორდეზიანი

მდივანი

ანანო გიორგაძე